პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 186 (11492)
ოთხშაბათი
12
აგვისტო
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

მჯკიცე ნაბიჯით დიადი მიზნისაკენ

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უდიდესი წარმატებანი თავიანთი ეკონომიკის, კულტურის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში დამაჯერებლად მოწმობენ სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით. „ახლა, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა XXI ყრილობაზე, — ევროპისა და აზიის ყველა სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ნამდვილი პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის გზით“.

საბჭოთა კავშირის შვიდწლიანი გეგმით, რომელიც მიღებულ იქნა XXI ისტორიულ ყრილობაზე, აღინიშნა ორი სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრების ახალი ეტაპის დასაწყისი. შვიდწლედის ძირეული პრობლემა — კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემა წარმატებით წყდება.

სოციალისტური ქვეყნების გეგმიანი მეურნეობა წარმოების ზრდის ისეთ მაღალ ტემპებს გვიჩვენებს, რომლებისთვისაც კაპიტალიზმს თავისი აღმავალი განვითარების დროსაც არ მიუღწევია. უკანასკნელ ხუთ წელიწადში სამრეწველო პროდუქციის საშუალო მატებამ სოციალისტური სისტემის ქვეყნებში შეადგინა 11 პროცენტი, რაც თითქმის ოთხჯერ აღემატება მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სახალხო მეურნეობა განუხრელად ვითარდება. ამას მტკივრმეტყველურად მოწმობენ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სამეურნეო შედეგები.

ჩვენი სამშობლო მტკიცედ შევიდა თავის ისტორიულ შვიდწლედში. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შრომითს ღონისძიებებს ახმარს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებას. წლის პირველი ნახევრის გეგმა როგორც სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის, ისე სამრეწველო პროდუქციის მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა. 1958 წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 12 პროცენტით გადიდდა. საბჭოთა ხალხმა მიიღო გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ფართო მოხმარების საქონელი და სურსათი.

ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმისა, რომელმაც შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესის ფართო, კონკრეტული პროგრამა. ჭეშმარიტად უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენთუზიაზმი, მხურვალე შრომითი აქტივობა. ისინი თვლ ძალებს იმას ახმარენ, რომ მოაახლოონ კომუნისტური მომავალი, კიდევ უფრო ბედნიერი და დიდებული გახადონ თავიანთი სამშობლო.

სახელოვან შრომითს გამარჯვებას აღწევენ სოციალისტური შენებლობის გზებზე მომძლე ქვეყნების ხალხები. გასული ნახევარი წელი აღინიშნა სამრეწველო წარმოების მძლავრი აღმავლობით სოციალიზმის ქვეყნებში. ჩინეთში უკვე მარტის დასაწყისს მრეწველობამ მიაღწია წარმოების იმ დონის 87 პროცენტს, რომელიც გეგმით გათვალისწინებულია 1961 წლისათვის. ექვს თვეში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში — 9,3 პროცენტით, ჩეხოსლოვაკიაში — 11, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 12,4, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში — 26,1, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 75, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 62,3, სახალხო უნგრეთში — 10, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში — 8,3 პროცენტით. სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა რუმინეთის, ბულგარეთის მრეწველობა.

სოციალისტური ქვეყნების ინდუსტრიამ ახალი თვისებრივი ნახტომი გააკეთა წინ, გაიზარდნენ და ახალი გამოცდილება შეიძინეს მუშებისა და სპეციალისტების კადრებმა, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი.

ისევე როგორც წინათ, მომძლე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მძიმე ინდუსტრიის — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის უპირატეს ზრდას.

უდიდესი მასშტაბი მიეცა ინდუსტრიულ მშენებლობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ჩინეთში ყოველ 46 საათში მწყობრში დგება ახალი სამრეწველო საწარმო.

სახალხო ჩინეთის მშრომელები რესპუბლიკის მეათე წლისთავს ახალი გამარჯვებებით ხვდებიან სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩინელი ხალხი წარმატებით ასრულებს მეორე ხუთწლედის დავალებებს, რითაც აახლოებს თავის ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვების დღეს.

თავიანთ ინდუსტრიულ ძლიერებას სხვა სოციალისტური ქვეყნებიც ამრავლებენ. გასულმა ნახევარმა წელმა დიდი წარმატებები მოუტანა სოციალიზმის ქვეყნებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სოციალისტურმა კოოპერაციულმა გზამ გაიმარჯვა სახალხო ჩინეთში, ბულგარეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და დემოკრატიულ ვიეტნამში. მტკიცე პოზიციები მოიპოვა კოოპერაციულმა წყობილებამ სოციალიზმის სხვა ქვეყნებშიც. ახლა იგი ცხადყოფს თავის დიად სასიცოცხლო ძალას.

ხალხის ცხოვრების მუდმივი გაუმჯობესება სოციალიზმის კანონია. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის. გასულ ნახევარ წელიწადში დიდად განვითარდა მრეწველობა, რომელიც აწარმოებს ფართო მოხმარებისა და კვების საგნებს, ათასობით მშრომელმა ახალი კეთილმოწყობილი ბინა მიიღო.

წლის პირველი ნახევრის შესანიშნავი შედეგები ნაყოფია სოციალისტური ქვეყნების მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომისა, რომელთაც კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ, შედეგია სოციალიზმის საქმისადმი მშრომელთა უსაზღვრო ერთგულებისა.

სოციალიზმის ქვეყნების ხალხები, ერთსულოვან ძმურ ოჯახად შეკავშირებულნი, თავიანთი ნათელი მომავლისაკენ მიდიან. სოციალიზმის თვითეული ქვეყნის წარმატება მთელი სოციალისტური ბანაკის წარმატებაა. ყოველი ქვეყანა წყვეტს თავის ეროვნულ ამოცანებს სოციალიზმის მშენებლობაში და ამასთანავე დიდი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში, განამტკიცებს რა სოციალისტურ სისტემას. ეს არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულება.

თითქმის 40 წლის წინათ დიდმა ლენინმა იწინასწარმეტყველა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების და ქვეყნებს შორის ნამდვილი თანამშრომლობის პრინციპულად ახალი ურთიერთობის დამყარების გარდაუვალობა. ლენინის ეს განჭვრეტა რეალობად იქცა ჩვენს სოციალისტურ ბანაკში, რომელიც მოიცავს დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტს და ტერიტორიის მეოთხედს.

ძმური კავშირი სოციალისტურ ქვეყნებს შორის განუხრელად მტკიცდება, სულ უფრო მრავალმხრივ ხასიათს იღებს. დღის წესრიგშია დასმული სოციალიზმის ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია. ფართოდ განვითარდა წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება.

მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს, თუ რა გიგანტური საქმენი სრულდება სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენს მეგობრებს ეს საქმენი ახარებენ, მტრებს გაბოროტებასა და სიძულვილს აღუძრავენ.

სოციალიზმის მშენებლები მშვიდობის ყველაზე გულწრფელი დამცველები არიან. ამიტომ სოციალისტური ქვეყნების მშრომელები სულით და გულით მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების მომავალ გაცვლას. მათ იმედი აქვთ, რომ ამ ვიზიტების შედეგად საერთაშორისო ვითარებაში გამოიდარებს, მოიგებს ამ ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საქმე.

ძლიერი სოციალისტური სამყაროს ხალხები უფრო მჭიდროდ ირაზმებიან. თავიანთი ისტორიული გამოცდილებით მათ კარგად იციან, რომ რაც უფრო მტკიცეა ჩვენი ქვეყნების ძმური ერთიანობა, მით უფრო მალე მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს — კომუნიზმს.

„პრავდის“ 11-VIII მოწინავე.

ბ. ტეფნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სამუშაოდ გადავიდა ჩამორჩენილ გრიგადაში

100 პროცენტი — ეს სასურველი მაჩვენებელი უკან მოიტოვეს

მეშახტე! მუდამ მოკრძალებით, გულის სათბოთი წარმოთქვამ ამ სიტყვას. ამბობ — მეშახტე — და თვალწინ გიდგას მისი გმირობა მიწის წიაღში; შერკინებია კლდეების გულ-მკერდს ბრგე ვაჟკაცი, არღვევს მთების მარადიულ მყუდროებას, ბურღით მიაპობს ქვესკნელს, ზოდებს ზოდებზე ანგრევს, რომ მამულს მისცეს „შავი ოქრო“ — მეტი ქვანახშირი, მეტი მარგანეცი.

ჭეშმარიტად გმირული, დიდად პატივსაცემია მეშახტის შრომა და თავდადება. გულისკარს უღებენ მშობლიურ მიწას, რომ ისევ მიწაზე დაახვავონ ძვირფასი მადნეულის, სათბობის მთები. მეშახტის ნაამაგარი ზრდის ჩვენს ინდუსტრიას, აქროლებს მატარებლებს თვალუწვდენ მაგისტრალებზე, დღეღამ აგუგუნებს ქარხნებს, ფაბრიკებს, წინ სწევს ქვეყანას კომუნიზმის დიადი მშენებლობის გზაზე.

მთელმა მსოფლიომ იცის გამოჩენილი დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაიის სახელი. იზრდება, მრავალრიცხოვანი ხდება მამაელთა რაზმი საქართველოში. გაგანოვას მაგალითს მიბაძეს ქართველმა მამაელებმა შოთა კუბლაშვილმა, ამბროსი ბაკურაძემ. მათ წინ წამოსწიეს ჩამორჩენილი ბრიგადები, მხარი გაუსწორეს მოწინავეებს და ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებით ასახელეს ჩვენი სამშობლო.

ვალენტინა გაგანოვას მაგალითმა ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანა ახალციხის ქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის კოლექტივი. მან ვალდებულება აიღო მეშახტის დღეს — 30 აგვისტოს შეხვდეს ასობით, ტონა ზეგეგმითი ქვანახშირის ამოღებით. მნგრეველთა ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას მოწინავე მნგრეველი ა. მსხვილაძე, 120 პროცენტით შეასრულა ივლისის დავალება. ბრიგადის ვალდებულებაა მეშახტის დღეს შეხვდეს გეგმის 130 პროცენტით შესრულებით.

«შავი ოქროს» მთეგი

გაგანოვას თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურა მებაგეთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ტეფნაძე. იგი სათავეში ჩაუდგა რკინიგზის შემკეთებელთა ბრიგადას, რომელიც ჩამორჩენილი იყო, და მოკლე ხანში გარდატეხა მოახდინა ბრიგადის მუშაობაში. მისი მეთაურობით შემკეთებელთა ბრიგადა ახლა მოწინავეად ითვლება.

ხ უ რ ა თ ზ ე: ახალციხის ქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის მნგრეველთა ბრიგადა. ცვლის ოსტატი მ. მაღრაძე (მარცხნიდან), ბრიგადირი ა. მსხვილაძე, მნგრეველები ბ. ჩოლანი, თ. თავგორაშვილი, ა. ცორმოტიანი და ი. აბრამიშვილი.

ფოტო ხ. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალი ციფრები, ახალი მაჩვენებლები

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის წინახიდის განყოფილება ყოველთვის მოწინავე იყო, უკანახიდის განყოფილება კი ჩამორჩებოდა.

წინახიდის განყოფილების უფროსს ოთარ ფულარიანს აღელვებდა მეგობართა ჩამორჩენა. ოთარმა იცოდა უკანახიდის განყოფილების „ვიწრო ადგილები“. საერთო საქმის, საამქროს მთელი კოლექტივის ინტერესები მოითხოვდა ჩამორჩენილი განყოფილების დაწინაურებას.

და აი, უფროსი ოსტატი ოთარ ფულარიანი თავისი სურვილით გადადის სამუშაოდ ჩამორჩენილ უბანზე — უკანახიდის განყოფილების უფროსად.

შრომის სწორმა ორგანიზაციამ პირველი დღეებიდანვე განაპირობა ჩამორჩენილი განყოფილების წინსვლა. ახალ სამუშაო ფრონტზე მუშაობა ო. ფულარიანმა დაზგებისა და ჩარხების წესრიგზე მოყვანით დაიწყო. თავიდანვე ორ გარემოებას მიაქცია ყურადღება: ჯერ-ერთი, აღეკვეთა ჩარხების მოცდენა, მეორეც, დროზე, შეუფერხებლად მიეწოდებინა დასამუშავებელი დეტალები ხარატებისათვის, მღარავებისათვის, ხრახნმჭრელებისათვის. სწორი, სამართლიანი მოთხოვნები წაუყენა ზეინკლებს, ამწყობებსა და ოსტატებს.

ხარატმა ვ. ფესტვენიძემ, ზეინკლებმა ა. ფინცულაიამ და ვ. სვანაძემ განყოფილების ახალი უფროსის დახმარებით აიმაღლეს საწარმოო კვალიფიკაცია. თუ წინათ ჩამორჩებოდნენ, ახლა ცვლაში ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ.

57 ავტომობილმშენებელი მუშაობს უკანახიდის განყოფილებაში და ახლა არც ერთი არ არის ჩამორჩენილი.

ოთარ ფულარიანი მოწინავე კოლექტივიდან ჩამორჩენილ შ ი რომ გადავიდა, წამოიჭრა საკითხი — რა ბედი ეწეოდა ამიერიდან თვით მოწინავე კოლექტივს, ხომ არ ჩამორჩებოდა იგი? ვინ შეცვლიდა წინახიდის განყოფილების უფროსს? აქ სამუშაოდ წავიდა შასის საამქროს ინჟინერ-ტექნოლოგი არჩილ ნუცუბიძე.

ასე გამოიცვალეს სამუშაო ფრონტები უფროსმა ოსტატმა ოთარ ფულარიანმა და ინჟინერ-ტექნოლოგმა არჩილ ნუცუბიძემ. თუ რა კეთილმყოფელი შედეგები მოჰყვა ამას, ამაზე ნათლად მეტყველებს ახალი ციფრები, ახალი მაჩვენებლები: 105 და 116... წინათ ჩამორჩენილმა უკანახიდის განყოფილებამ უკან მოიტოვა სასურველი მაჩვენებელი „100“ და ხუთი პროცენტით გადაამეტა მას, ხოლო წინახიდის განყოფილების მოწინავე კოლექტივმა კიდევ უფრო წინ წაიწია, ივლისის დავალებას თექვსმეტი პროცენტით გადააჭარბა. **(საკ. კორ.).**

ვალენტინა გაგანოვას მაგალითით

სამუშაოდ ჩამორჩენილ ბრიგადებში

აბაშის რაიონის სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმა ჩამორჩენილია. შარშან ფერმამ ვერ შეასრულა წველადობის წლიური გეგმა.

— ჩემი სურვილია მიგებაძო გაგანოვას მაგალითს, წავიდე სამუშაოდ ჩამორჩენილ ფერმაში. მთელ ძალასა და ენერგიას მოვახმარ იმას, რომ ჩამორჩენილი ფერმა აკიყვანო მოწინავეთა დონემდე, — ასე განაცხადა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა პლატონ კვანტალიანმა.

პ. კვანტალიანის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. იგი ამჟამად მეძროხეობის ფერმის გამგეა და იბრძვის იმისათვის, რომ შეასრულოს წველადობის წლიური დავალება.

ნორიოს სტალინის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში № 6 ბრიგადა ყველაზე ჩამორჩენილი ბრიგადაა. მექანიზატორმა შ. გვაზავამ სურვილი გამოთქვა სათავეში ჩაუდგეს ამ ჩამორჩენილ ბრიგადას.

შ. გვაზავას თხოვნა კოლმეურნეობის გამგეობამ დაკმაყოფილა.

ივ. თოფურია.

ბრიგადა იგრძვის

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წერილმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მახარაძის რაიონში. ამ დღეებში უფრო გაძლიერდა ჩაის კრეფის ტემპი. სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა. კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ამ კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ა. მიმინოშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა სამშობლოს მისცეს 15.000 კილოგრამი ზეგეგმითი ჩაის ფოთოლი.

ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიეები. მათი ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 10.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

მოწინავე მერგოლურმა ნაზი გურგენიძემ პირობა დადო გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 5 ტონა ჩაის ფოთოლი.

ყოველდღიურ დავალებებს წარმატებით ასრულებენ ბრიგადები, რომლებსაც ა. მამალაძე და რ. ცინცაძე ხელმძღვანელობენ. ბეჯითად შრომობენ მერგოლურები სონია გოგიბერიძე, ლეილა მაღულარია და სხვები. მეტი ჩაისათვის ლაშქრობა გრძელდება. **(საკ. კორ.).**

140.000 ცალი ჩანაფიქრი!

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

სოხუმი. ნუნუ ფიფია წარმატებით განაგრძობს ჩაის ფოთლის კრეფას სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“. მან მოკრიფა 50 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ხოლო სეზონში სულ მოკრეფილი აქვს 4.000 კილოგრამამდე ჩაი. **ციალა ქარდავამ** ამავე კოლეუოეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება ორმაგად გაანაღდა. **ვენერა ცანავამ** ჩაის კრეფის დღიური ნორმა 250 პროცენტით შეასრულა. სულ მოკრეფილი აქვს 3.500 კილოგრამი ჩაი.

ქოგულეთი. ფიქრიე ჟურშუბაძე ცნობილი მეჩაიეა ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა. **ზეჭიე ბერიძემ** მოკრიფა 50 კილოგრამი, **აიშე ველიაძემ** ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 44 კილოგრამი ჩაი.

კრეფის ტემპი გაძლიერდა

ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა მკვეთრად გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ფოთოლი უკვე უხვად შემოვიდა ააკრეფად. რაიონში პირველმა სოფელ ზუმის კოლმეურნეობა „საქართველომ“ შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა. კოლმეურნეობამ მოკრიფა 240 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 236 ტონისა.

ამ კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ახალი დიდი ვალდებულება იკისრეს: 100 ტონა ჩაის ფოთოლი გეგმის გადამეტებით!

კრეფაში სახელი გაითქვა მარიამ ხორავამ, რომელმაც მოკრიფა 5.000 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 3.000-სა. იგი დღეში კრეფს 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. ანგელინა შენგელიამ 4.000 კილოგრამი მოკრიფა, გეგმა კი 3.400 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ქ. გოგუა.

სამუდამოდ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელებისადმი

ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰანს ვერნერ რიხტერმა და ამავე ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა კანონიკმა ლ. ჯონ კოლინზმა წერილით მიმართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. წერილის ავტორები იტყობინებიან, რომ ფედერაციამ მოწოდებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს არ განახორციელონ პირველებმა ატომგულის იარაღის მთავრობებს არ განახორციელონ პირველებმა ატომგულის იარაღის ახალი გამოცდა. ფედერაცია დაბეჯითებითი თხოვნით მიმართავს აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობას ასევე უარი თქვას და არ განაახლოს პირველმა ატომგულის იარაღის საცდელი აფეთქებანი.

საპასუხო წერილში ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, მზად არის იკისროს საქვეყნო ვალდებულება არ აწარმოოს პირველმა ატომგულის იარაღის რაიმე გამოცდა.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გაახსენა, რომ თავის დროზე სსრ კავშირმა ცალმხრივი წესით უკვე შეწყვიტა ატომური და წყალბადის იარაღის ყველა გამოცდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ, მოითხოვს რა ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და სამუდამოდ შეწყვეტას, საბჭოთა კავშირს ასევე შეწყვეტა მიაჩნია პირველ ნაბიჯად საბოლოო მიზნის გზაზე — მთლიანად აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, ამოღებულ იქნას ეს იარაღი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან და ლიკვიდირებულ იქნას მთელი მისი არსებული მარაგი. (საკ.).

წლიური გეგმის გადამეტებით

ზიათურა. (საკ. კორ.). ჩაი აქ ახალი კულტურაა, მაგრამ უკვე საყოველთაო აღიარება და პატივისცემა ჰპოვა. რაიონში ჩაის პლანტაციებს 270 ჰექტარი უჭირავს, ხოლო შეიდწლედის ბოლოსათვის მისი ფართობი 605 ჰექტარს მიაღწევს. ჭიათურელმა მეჩაიეებმა სეროზული წარმატება მოიპოვეს. მათ უკვე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით 28 ტონა ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს.

წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს სოფლების გეზრულის, თვალუეთის, ნიგოზეთის, ეწრის, ბიღის, ქვაციხის, ზოდის კოლმეურნეობებმა.

სოფელ გეზრულის კოლმეურნეობამ წლიური გეგმის გადამეტებით ხუთი ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა, თვალუეთის კოლმეურნეობამ — სამი ტონა, ეწრის კოლმეურნეობამ — ოთხი ტონა, ხოლო სოფელ ზოდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წლიური გეგმა 207 პროცენტით შეასრულა.

გეზრულელი ქალიშვილები ნელი და ლეილა შეყილაძეები დღეში 10 კილოგრამის ნაცვლად 40-50 კილოგრამ ჩაის კრეფენ. ასევე თავდადებულად შრომობენ ქვაციხელი კომკავშირელი თამარ ბერეგვაძე, თვალუეთელები მაშო, ეენია და ცირა ბიწაძეები.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება. მოდის ჩაი წლიური გეგმის გადამეტებით!

სურათზე: ქვაციხელი მოწინავე მეჩაიე თამარ ბერეგვაძე.

მზესუმზირას აღება დაიწყო

ხიდნალი. (ტელეფონით). სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო მზესუმზირას მოსავლის აღება. ამ სამუშაოს კარგად ასრულებს კომბაინერი შ. ჩალათამეილი. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით იგი დღეში 5 ჰექტარზე იღებს მზესუმზირას მოსავალს ნაცვლად 3 ჰექტარისა.

ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მზესუმზირას აღება დაიწყო აგრეთვე მექანიზატორმა გ. ძმანიშვილმა.

პარტიული კონფერენციები

შვიდწლეულისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღი

ეს სასარგებლოა საქმისათვის

პირველი ნაგიჯები გადადგა ახალი ტექნიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის კონტროლის კომისიამ

მოეწყო საჰაერო-საბაგირო გზის ვაგონების თვითგაცლისათვის გაუმჯობესებული ავტომატური მრიცხველი

ტექნიკოს მ. დევიძის ჩანაფიქრის განხორციელება დიდძალ ელექტროენერგიას დაზოგავს

კპსკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ბრძოლის საკითხების გამშუქებაში გაზეთს „ლენინის დროშის“ ფურცლებზე, განსაკუთრებით უკანასკნელ ნომრებში გამოქვეყნებულ მასალებში ერთის სულაგიორძნობა მებრძოლური ტონი. როგორც ცნობილია, ივლისში შესამჩნევად შენელდა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა უდარდელობის, თვითდამშვიდების განწყობილება, საერთოდ შენელდა ყურადღება ჩაის ფოთლის კრეფისადმი. გაზეთის კი ასეთი განწყობილების აღსაკვეთად არ მიუცია რომელიმე დასამახსოვრებელი, კონკრეტულ ფაქტებზე აგებული ებრძოლური ხასიათის კრიტიკული შენიშვნა, წერილი ან კორესპონდენცია.

მახარაძის რაიონს ნაკისრი აქვს მიმდინარე წელს მისცეს ქვეყანას 28.200.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მეტად სერიოზული ვალდებულებაა. 1 აგვისტოსათვის ეს ვალდებულება 70 პროცენტითაც არ იყო შესრულებული. გაზეთს მართებს შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად გარდაქმნას მუშაობა, რაიონის მშრომელთა მასები დარაზმოს ნაკისრ დიდ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ქობულეთის რაიონს სეზონის დაწყებიდან 4 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 52,2 პროცენტით ჭარნდა შესრულებული. ეს მდგომარეობა გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნისაგან“ (რედაქტორი ა. დოლიძე) მოითხოვდა ნომრიდან ნომერში გაეძლიერებინა არა მარტო სახელმწიფო გეგმის, არამედ სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულების — 18.100 ტონა ჩაისათვის რაიონის მშრომელთა დარაზმვისა და ბრძოლის საკითხების ფართოდ გაშუქება. გაზეთმა 10 ივლისის ნომერში მისცა მასალები მთელ გვერდზე ანშლაგით: „18.100 ტონა ჩაისათვის ბრძოლა ქობულეთის რაიონის მშრომელთა ღირსების საქმეა“. ამ გვერდში დაბეჭდილი მასალებიდან ყურადღებას იპყრობს წერილი „გავაუმჯობესოთ ჩაის პლანტაციების მოვლა“. მასში გაკრიტიკებულია ხუცუბნის სტანციის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობა, რომელშიც ჩაის პლანტაციების ცალკეული ნაკვეთები მოუვლელად არის მიტოვებული.

„მერე ბრიგადაში (ბრიგადირი თ. გოგიტიძე), — ნათქვამია კორესპონდენციაში, — 5,02 ჰექტარი პლანტაცია წელს დატოვეს ისე, რომ არ გადაუბარავთ, ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქები არ შეუტანიათ. 2,25 ჰექტარ პლანტაციაში აღნიშნული სამუშაო არ შეუსრულებია აგრეთვე იმ ბრიგადას, რომელსაც ჯ. ბლადაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადათა ზოგიერთი ფართობები ზედმეტად დანესტიანებულია, სადრენაჟო ქსელის გაწმენდისათვის არ უზრუნვნიათ, ყოველივე ამის გამო ბუჩქები გადაყვითლებულია. სწორედ ამან განაპირობა აქ მოსავლიანობის შემცირება... სამწუხაროდ, ჩაის პლანტაციებისადმი უყურადღებობის შემთხვევებს სხვა ბრიგადებსა და რგოლებშიც ვხვდებით“.

თუ ისეთ მოწინავე არტელში, როგორიც ხუცუბნის კოლმეურნეობაა, ასეთი მდგომარეობაა, რაღა იქნება მასთან შედარებით ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში! გაზეთი არც მათ იერიყვებს. ამავე კორესპონდენციაში ანალიზი აქვს გაკეთებული სოფელ ჯახაის კოლმეურნეობის ჩამორჩენის მთავარ მიზეზს. როგორც გაზეთი წერს:

„მთელ რიგ ნაკვეთებზე კოლმეურნეები ფორმალურად არიან მიმაგრებული, არტელის ხელმძღვანელები ურიგდებიან შრომის დისციპლინის მოშვებულობას, გაცდენებს. ე. წ. „კაკუჩას“ ფართობზე, სადაც 14 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციაა, ჩაის ბუჩქები ეკალბარდის ამონაყრებით არის დანაგვიანებული, ნიადაგში დროულად და წესიერად არ შეაქვთ მინერალური სასუქები“

„ქობულეთელმა კოლმეურნემ“ 15 ივლისის ნომერში დაბეჭდა კორესპონდენცია სათაურით: „დაპირებას განაღდება

რომ უფრო საამური გახდეს ჩვენი ხვანჭკარა

რაიონის ხელობაში, სოფელ სადმელის შარაგზის პირას გამვლელთა ყურადღებას იპყრობს მტევნებით დახუნძლული ვაზები.

— ასეთი უხვი მოსავალი კარგახანია არ მინახავს, თვითეულ ვაზს რამდენიმე ათეული მტევანი ასხია. ყურძნის მარცვალი დამსხვილდა, სიმწიფის ფერი იკიდება, — გვითხრა ამავე სოფლის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახემ ბ. ენუქიძემ, რომელსაც შეიდწლეული პირველ რიგში გადაწყვეტილი აქვს სამშობლოს ჰექტარზე მისცეს 90 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჭირს ავრეთვე სოფლების წესის, ხვანჭკარის, ხიდიკრის, ჭრებალოს, ტოლასა და სხვა კოლმეურნეობათა ზვრებში.

დაძაბული შემოქმედებითი შრომის ამ დღეებში ამბროლაურელები მხურვალედ გამოეხმაურნენ გურჯაანელ მევენახეთა შესანიშნავ თაოსნობას. მათ აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, რეზერვები და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. შეიდწლეულის ბოლოსათვის სახელმწიფოს მიაყიდიან ათასეულ ტონა სხვადასხვა ასორტიმენტის საუკეთესო ხარისხის ყურძენს, მიაღწევენ იმას, რომ აქ გამოშვებული ღვინოები ყოველთვის სანიმუშო იყოს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მიფარგლებს გარეთაც. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 2.000 ტონა ყურძენი.

რაოდენობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უმაღლესი ღირსების ღვინოების დაყენებისათვის ბრძოლას. ამიტომაც არის, რომ რაიონში ამკამად განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან რთველისათვის, ყურძნის კრეფისა და გადამუშავების წესების ზუსტად დაცვა-განხორციელებისათვის.

სოფლების წესის, ხვანჭკარის, სადმელის კოლმეურნეობებში შედგენილია ყურძნის კრეფის კალენდარული ვადები. აქ ყურძნისათვის გაცხოველებით ემზადებენ კალათებს და ხის ჭურჭელს, გოდრებს. მტვრისა და სხვა უსუფთაობისაგან ყურძნის დაცვის მიზნით სახიდ ტარას საფენებს უმზადებენ.

სამწუხაროდ, რთველისათვის ნელ ტემპით ემზადებიან სოფლების ბარეულის, ხონჭიორის, სინაფლის კოლმეურნეობები, მათ ცოტა აქვთ ყურძნის გადასაზიდი ტარაც.

ყურძნის შეუფერხებლად მიღებისა და საუკეთესოდ გადამუშავებისათვის, მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენებისათვის სამტრესტს ამბროლაურის ქარხანათა სამმართველოს (დირექტორი ვ. ბენდიაშვილი) კოლექტივი თვედადებით მუშაობს. დამატებით გაკეთდა ახალი როფეები, დაიდგა ყურძნის გადასამუშავებელი მანქანები, მექანიკური წნეხები. დასასრულს უახლოვდება არსებულ ვამოხდილი ახალი საამქროს მშენებლობა.

ზვანჭკარის ღვინის ქარხანაში (უფროსი მეღვინე — გამგე გ. ყიფიანი, მეღვინე ა. მეტრეველი) ახალი როფეები გაკეთდეს, ძველები დარეცხეს, დასუფთავეს. მიმდინარეობს მექანიზაციის დანერგვის სამუშაოები.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქვეყნოდ ცნობილი ზვანჭკარის ღვინის ქარხანას რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა. მისი ძველი შენობები ოდნავაც ვერარ აკმაყოფილებენ ახალ-ახალ მოთხოვნებს. ქარხანას ფუძეროება საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. მართალია, ამ საქმისათვის მრავალჯერ შედგა საჭირო დოკუმენტაცია, მაგრამ მათ ხორცის შესხმას არაფერი ეშველა.

ამ ქარხნის ძველმა მუშამ, პენსიონერმა ვ. გაბისიანმა გულნატკენად გვითხრა: — მაცივარი? ო, რამდენჯერ უფროსს ხარისხიანს, საამოს, სასახელოს გაბოდ და ჩვენს ხვანჭკარულს!

მართლაც, მაცივრის უქონლობა ერთ-ერთ ყველაზე ამდენს ხვანჭკარის ღვინის ხარისხიანობაზე.

ჭრებალოს ღვინის ქარხანაში (უფროსი მეღვინე — გამგე გ. გაბისიანი) ყურძნის მისაღები განყოფილება პრიმიტიულია, ძველია. აქ მექანიზაციის დანერგვისათვის ნაკლებად იზრუნებენ თავს. ამის ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზი ისიც არის, რომ ქარხნის ტერიტორიაზე გადადის რიკეხესის ელექტროდენის ხაზი, რომელიც სათანადო ორგანიზაციებმა მითითებით უნდა გადაეტანათ. მაგრამ მდგომარეობა დღემდე უცვლელია. ამის გამო კი უკვე მეორე წელია შენერგიულია სპარტის სახდელი საამქროს მშენებლობა.

ამავე ქარხნის ტერიტორიაზე შენდება მაცივარი, რომელიც გეგმით წელს უნდა დამთავრდეს. მას კი საამისოდ პირი არ უჭირს. ჩამორჩენას გულგრილად უყურებს აღნიშნული მშენებლობის მწარმოებელი ქუთაისის სამშენებლო სამონტაჟო სამმართველო № 8 (უფროსი ვ. ოდოდბერიძე).

შარშან რთველს ცხარე დღეებში ხშირი იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებს აღარ ჰყოფნიდათ ყურძნის უხვ მოსავლის ადგილზე მისატანად ტრანსპორტი, ღვინის ქარხნები მათ ავტომანქანებით ეხმარებოდნენ. წელს ასეთი დახმარების განხორციელება გაუქმდებათ, ვინაიდან რამდენიმე ავტომანქანა საბურავების უქონლობით უმოქმედოდ დგას.

რთველი ჯარზეა მომდგარი. დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ორსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

რაჭველი მევენახეები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმისათვის, რომ სამშობლოს მიაწოდონ რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ყურძენი, ქართული მარკის სანალქები ღვინოები.

ვ. თოდუაძე, ამბროლაურის კოლმეურნეობის მევენახე; **ბ. ცხვირაშვილი,** ჭრებალოს ღვინის ქარხნის მუშა; **ვ. სოხაძე,** აფრონომი; **ა. ბოცერიაძე, ვ. ცირეკიძე,** „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ჩაის პაწკარეგი

ქობულეთელი კოლმეურნის დროშა

პრესის მიმოხილვა

გაზეთის პაწკარეგში

ავტომანქანების ქალაქი

ავტომანქანების ქალაქი — ასე უწოდებენ დღეს საბურთალოს. აქ თავმოყრილია თბილისის ტრანსპორტის ძირითადი ბაზები, პარკები, ავტომანქანების ფარეხები. ყოველდღიურად იზრდება ქალაქის ტრანსპორტი. კეთილმოწყობილ ბაზებსა და პარკებში თავმოყრილია ათასობით მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა. ყურადღებას იპყრობს ალვის ხეებით შემოფარგლული ფართო ეზო. ეს № 2 ავტობაზაა. მოასფალტებული მოედანი, საუკეთესოდ მოწყობილი სარემონტო საამქროები, პროფილაქტორიუმი მნახველთა მოწონებას იმსახურებს. ამას წინათ ავტობაზა დაათვალიერეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტის მუშაკებმა. მათზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება

ავტომანქანების ქალაქი — ასე უწოდებენ დღეს საბურთალოს. აქ თავმოყრილია თბილისის ტრანსპორტის ძირითადი ბაზები, პარკები, ავტომანქანების ფარეხები. ყოველდღიურად იზრდება ქალაქის ტრანსპორტი. კეთილმოწყობილ ბაზებსა და პარკებში თავმოყრილია ათასობით მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა. ყურადღებას იპყრობს ალვის ხეებით შემოფარგლული ფართო ეზო. ეს № 2 ავტობაზაა. მოასფალტებული მოედანი, საუკეთესოდ მოწყობილი სარემონტო საამქროები, პროფილაქტორიუმი მნახველთა მოწონებას იმსახურებს. ამას წინათ ავტობაზა დაათვალიერეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტის მუშაკებმა. მათზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება

სურათებზე: (ზემოთ) მემოტორე ა. ბუბუშაანი მოტორის ბლოკის სარქველების პნევმატურ მოხეხვაზე; (ქვემოთ) ავტომანქანის საბურავების ავტომატური დაზეთვა და გაბერვა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავდნენ. პლენუმის მუშაობაში აქტიურად სხვებთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. სიტყვის წარმოთქმის წინ რადიოთი მოვისმინე რაზანელი მწველავის, სოციალისტური შრომის გმირის ანა ივკინას გამოსვლა. იგი მომართავდა ქართველ მეცხოველეებს ფართოდ გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება, გამოცდილების ურთიერთ გაზიარების გზით მიეღწიათ საზოგადოებრივი მეცხოველეობის საერთო აღმავლობისათვის.

ანა ივკინას გამოსვლამ დამაფიქრა, მწამდა, რომ სახუმარო არ იყო რიაზანელ შრომის გმირთან შეჯიბრება. მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ეს შეჯიბრება საბოლოოდ საერთო საქმეს მოუტანდა

მე და ჩემი მეგობრები

სარგებლობას და ჩვენს შორის დამყარდა კონტაქტი. ჩვენ ხშირად მივმართავდით ერთმანეთს რადიოთი, გაზეთებით და პირადი წერილების საშუალებით, ვუზიარებდით გამოცდილებას, ვამოწმებდით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

წინათ გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში ანა ივკინა მწერდა: „სალამი, ძვირფასო გულ! პირველ რიგში, დიდი მადლობა ჩემი სტუმრად მოპატიჟებისათვის. ძალიან მინდა თქვენთან ჩამოსვლა, პირადად შენი და თქვენი კოლმეურნეობის ნახვა, თქვენი მუშაობის გაცნობა და გამოცდილების გადაღება. მე ძალიან მაინტერესებს საქართველო, თქვენი შესანიშნავი ადამიანები და მათი სა-

გმირო საქმეები, თქვენი ბუნება, რომლის შესახებ ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ჯერასოდეს არ მინახავს“.

ამ წერილის შემდეგ იგი ჩვენთან ჩამოვიდა. მისმა პირადმა გაცნობამ ბევრი რამ კარგი შეძინა, გავეცანი ჩვენი უფროსი მეგობრების შრომითს გამოცდილებას.

ათი ძროხიდან, რომლებსაც მე ვუვლი, თვითეულზე წელს უკვე მიღებული მაქვს 1.500-მდე კილოგრამი რძე. პირობას ვდებ წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა 3.000 კილოგრამამდე ავიყვანო.

ვ. ვარშანიძე,
ბათუმის რაიონის სოფელ ურეკის კოლმეურნეობის მწველავი.

კინოსურათები იალაღებზე

მაღლა მთებში, ზღვის დონიდან 3.500 - 4.000 მეტრ სიმაღლეზე გადაჭიმულია ბოგდანოვკის რაიონის სუბალპური მდელოები. იქ მრავლად ავიდნენ საზაფხულოდ კოლმეურნეობათა მეცხვარეობისა და სარძეო-სასაქონლო ფერმები.

მთის ბილიკებით მეცხოველეებთან მიდიან რაიონის კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაკები, მიაქვთ იქ ახალი გაზეთები, ჟურნალები, სასოფლო-სამეურნეო ბროშურები, მხატვრული და პოლიტიკური წიგნები. მიდიან ავრეთვე კინომექანიკოსები კ. ნაზარიანი, ე. იასტრებინსკი, შ. ხოდკიანი, მოტორისტები ი. ლუკიანოვი, ვ. პოდოგლიანი და სხვები თავიანთი კინოაპარატურით და აჩვენებენ სასოფლო-სამეურნეო და მხატვრულ ფილმებს. სოფლების ჯიგრაშენის, ოროკოლარის, დიდი და პატარა გონდრიოს, დიდი და პატარა ხანჩალის, თორიის, ყაურმის, ეშტიისა და სხვ. ფერმების მწყემსებს უკვე უჩვენეს 50-ზე მეტი სეანსი: ფილმები „ყუბანელი სტუმარი“, „ორი დედის შვილი“, „ბაში-აჩუკი“, „გრაფის ნასაღლარზე“, „მშობლიური სახლი“, „ციტარიანი ქალიშვილი“ და სხვ.

მწყემსებს, მწველავებს, მეცხვარეებს და ფერმების სხვა მუშაკებს შესაძლებლობა აქვთ კულტურულად დისვენონ.

ა. სეროკიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი

ცელეგი ელავენ არაგვის ხეოგაში

ფინვალს რომ გასცდები და ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობას გაჰყვები, თვალწინ გადაგეშლება თვალიგისა და შარახევის თვალწარმტაცი მიდამოები. ფოთლოვანი ხეებით დაშშვენებულ გორაკებს ყანები და სათიბები ქამარივით შემოურტყამს. წინაპართა მიერ გაკაფული ახოები პურისა და ბალახის ბარაქით იწონებენ თავს. მგზავრს ახარებს მათი მრავალფეროვნება, არაგვის ტალღების ტამფანდურს რომ გაუცოცხლებია და გაულაღებია. ზევით მიჰყვები ამ ბუნების სიკეკლუცეს, და კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი მთა-ბარი გხვდება. სოფელ კუჭეჭასთან კი არაგვის ორივე ბხარეს ლომებივით გაწოლილი მთები ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, თითქოს უნდა გადაეხვევნონო. ამ მთებს ხომ ერთი ძირი და ერთი ძარღვი აქვთ, რომელიც გიქმაქ მდინარეს ორად გაუჭრია, მაგრამ ვერ გაუთიშავს, ვერ ჩაუკლავს მათი მარადიული დიდება და ძლიერება.

სოფელი კუჭეჭა მაღაროსკარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. აქაური ვაჟკაცები განთქმული არიან შრომისმოყვარეობითა და საერთო საქმის ერთგულებით. აი ახლაც მათი პირბასარი ცელები შარახევის ახოებსა და ბუსნიჭალაში ელავენ. მთიბავები ივანე ჭინჭარაული, ვანო ჩოხელაშვილი, ლევან ლიქოკელი, გიორგი ტუქსიშვილი, ესტატე ჭინჭარაული ძალ-ღონეს არ ზოგავენ პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. გადაწყვეტილი აქვთ დაამზადონ მაღალხარისხოვანი თივა და ამით ხელი შეუწყონ რძის წარმოების კიდევ უფრო გადიდებას. როცა ბრიგადირმა გიორგი ჩოხელაშვილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიმართვა გააცნო, მათ გალდებულება იკისრეს წელს მაქსიმალურად გამოიყენონ პირუტყვის საკვების დამზადებისათვის არსებული ყველა რეზერვი, გაუთიბავი არ დატოვონ არცერთი გოჯი მიწა, დროულად დააბულონონ ნათიბი, მიიტანონ ადგილზე და დაზვინონ. ეს ხომ ერთგვარი წვლილი იქნება მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. ამიტომაც ტრიალებენ მთიელი მთიბავები ლორთქმა ბალახში ლომებივით. მათ ფეხქვეშ შრიალით ვვება თავსვილა და სამყურა, შუპყა და ქუჩი, დიყი და შამბნარი. თვითეული მთიბავი ყოველდღიურად შვიდი ათას ხუთას კვადრატულ მეტრ ფართობზე იღებს თივას, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ხუთი ათასი კვადრატული მეტრისა, და ამით დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. კუჭეჭელები წელს 70 ჰექტარ ფართობს გათიბავენ და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერ თივას დაამზადებენ.

გიორგი ჩოხელაშვილის ბრიგადის წევრები მთებში აღამებენ და მთებშივე ათენებენ. სოფელს დიდი მანძილით დაცილებული სათიბები სახლში ღამის გათევის საშუალებას არ აძლევს კოლმეურნეებს, მაგრამ ამას როდი სწუხან ვაჟკაცები, პირიქით, კიდევაც უხარიათ მთების გულმკერდზე ღამის გათევა, სადაც შურთხების წკრიალა გალობას ადამიანი კი არა, ბუნებაც მოუხიბლავს, სადაც მაცოცხლებელი მთის სიო უკვდავი გმირების ამბავს უყვება მჩქეფარე ჩანჩქერებსა და ჭიუხების ცადაწვდილ ორწოხებს...

მაღაროსკარის კოლმეურნეობაში სხვა ბრიგადებმაც მტკიცედ მოჰკიდეს ხელი თივის დამზადების საქმეს. პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი დავით მგელიაშვილი არ ზოგავს იმისათვის, რომ თივის დამზადებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სხვებს არ ჩამორჩეს, არ შეირცხვინოს თავი კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე. მისი ბრიგადის მოწინავე მთიბავებმა ალექსანდრე წულაშვილმა, გიორგი და ხვთოსო ბაიაშვილებმა უკვე გათიბეს არაგვის ნაპირებზე მდებარე ჭალები და ახოები და ახლა მაღალ მთებს ეწვიენენ.

მხარდამხარ დამდგარან გომეწრის, კანატიესა და კუდოს მთები. მათი გულმკერდი პირიმზესა და ლუსუმას აუჭრელებია. მწვანე ფერდობებზე გაშლილი ცხვარძროხა კიდევ უფრო მატებს სილამაზეს კავკასიონის გოლიათებს. საძოვრების ახლო-მახლო გადაჭიმულია სათიბებიც, რომლებსაც მწყემსები გულმოდგინედ იცავენ პირუტყვისაგან. მათ იციან, რომ პირუტყვს საკვები ზაფხულში საძოვრებზეც არ მოაკლდება, ზამთარში კი შეიძლება სანატრელი გაუხდეს.

მაღაროსკარელი მწველავები განთქმული არიან წველადობის გადიდებისათვის ბრძოლით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კომკავშირელ მარიამ ალუდაურის ბრიგადამ წველადობის წლიური გეგმა შვიდ თვეში გადაჭარბებით გაანაღდა, ახლა კი იმისათვის იბრძვის, რომ წლის ბოლომდე თვითეულ ძროხაზე გეგმის ზევით 400 კილოგრამი რძე მიიღოს.

— ძროხას რძე ენაზე აქვსო, — იმეორებს მარიამი ძველ თქმას და მთიბავებთანაც ხშირად ამ საკითხზე აქვს საუბარი. ხევსურ გოგონას გულით უნდა ზამთარშიც ისევე მაღრისად კვებოს პირუტყვი, როგორც ახლა კვებავს და წველადობა არც მაშინ შეამციროს. ძროხას თუ არ აჭამე, ისიც დროულად, ნორმალურად. ბევრიც რომ მოუარო და უპატრონო, არაფერი გამოვა.

დუშეთის რაიონის მაღაროსკარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ძირითადად მეცხოველეობას მისდევს. აქ ყოველ წელს მარტო ამ დარგიდან იღებენ ნახევარ მილიონ მანეთამდე შემოსავალს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსი ხუცურაული დამაჯერებლად ჰყვება მეცხოველეობის განვითარების და მისი პროდუქტიულობის ამაღლების პერსპექტივებზე დიად შვიდწლედში.

— უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება მივაქციეთ, — ამბობს იგი, — მეცხვარეობისა და მეძროხეობის განვითარებას, ერთიორად გავადიდეთ წველადობა და მატყლის გამოსავლიანობა. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს. კოლმეურნეობის შვიდწლიანი გეგმა მიზნად ისახავს 1965 წლამდე 1.200-ით გავზარდოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, ადგილობრივი ჯიშის ძროხის წველადობა კი 2.000 კილოგრამამდე ავიყვანოთ. ამ მიზნის განხორციელებისათვის თავდაპირველად საჭიროა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. წელს ჩვენი კოლმეურნეები ენერგიას არ დაიშურებენ თივის დიდი რაოდენობით დამზადებისათვის. კოლმეურნეობის მემინდვრეობის ოთხივე ბრიგადა ამჟამად ამ მნიშვნელოვან საქმეზე მუშაობს. მათი ვალდებულებაა გათიბონ, დააბულონონ და პირუტყვის ბინებთან მიიტანონ 6 ათასი ცენტნერი თივა, რაც შარშანდელს ათასი ცენტნერით აღემატება. თივასთან ერთად დიდი რაოდენობით დავამზადებთ ჩალასა და სილოსს.

ალექსი ხუცურაული სიტყვის პატრონი კაცია. რასაც გადაწყვეტს, გააკეთებს კიდეც. ამიტომაც უყვართ იგი ფშავლებსა და ხევსურებს. ალექსის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის 16 წელი შეუსრულდა. გულმართალმა ფშაველმა თავისი სიკეთით დაიმსახურა ხალხის სიყვარული. როცა ალექსი კოლმეურნეებს თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებას სთხოვს და მიზეზად სიბერეს დასახელებს, ახალგაზრდები ვაჟას უკვდავ სტრიქონებს მოიშველიებენ:

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მოიბი მგლისაო,
გაგვიყოლე ახლები,
ვისაც გული აქვს ცდისაო...

და ალექსისაც მეტი რა გზა აქვს, მიჰყვება ხალხის ნებას და ღირსეულად უძღვება საერთო საქმეს. მისი ხელმძღვანელობის შედეგია, რომ მაღაროსკარის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში წველადობისა და პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ. მაღაროსკარელებს ამჟამად 900-მდე სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ და სანიმუშოდ უვლიან. ამაგდარ თავმჯდომარეს საერთო საქმის წინსვლისათვის ბრძოლაში მხარში უდგანან მეძროხეობის ფერმის გამგე ლუკა გიგაური, ზოოტექნიკოსი ვალიკო დოლიშვილი, ვეტფერშალი ბაბალე ნაყეური, მწველავთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მარიამ ალუდაური და ბევრი სხვა შრომისმოყვარე კოლმეურნე...

მაღაროსკარის მთებსა და ხეობებზე ბუნებას თავისი ხვავიანი კალთა დაუბერტყავს, მზიური ღიმილი დაუფრქვევია, და თუ ზოგჯერ ნისლების ბადეში ეხვეევიან მწვერვალები, აიმღვრევიან მდინარეები, აგუგუნდებიან ჩანჩქერები, ესეც ერთგვარ სილამაზეს მატებს ფშაველთა სოფლებს, მთებზე რომ მოჩანან „არწივის ბუდესავითა"...

სიცოცხლიანი დღეებია არაგვის ხეობაში. მწვანე მთებზე ვერცხლისფრად ელავენ ცელები, ლაღობენ და მღერიან მთიელი ვაჟკაცები, რომლებიც მტკიცე საკვებ ბაზას უქმნიან პირუტყვს, ახავებენ მის ბარაქას.

მაღაროსკარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩაღებულია ენერგიული შრომა იმისათვის, რომ მთიელები საამაყო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, რომელიც საბჭოთა ხალხს ახალ ბედნიერებას უმზადებს.

მაღაროსკარელთა მიზანი ნათელია — საოკეანედო მაჩვენებლებით დაამთავრონ შვიდწლედის პირველი წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და ამით უპასუხონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას.

გიორგი გიგაური.

ოცნებამ ფრთები შეისხა

უკვე სამი წელია, რაც რესპუბლიკის სხვა ზოგადსაგანმანათლებელო სოლელებთან ერთად ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა საწარმოო სწავლება.

კვირაში ერთ დღეს მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეები ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში მეცადინეობენ და პრაქტიკულად ეუფლებიან ლითონის მექანიკურ დამუშავებას.

მოსწავლეები საავტომობილო ქარხანაში სამუშაო საათების დაწყებისას მოდიან და საამქროში გამოყოფილ სპეციალურ ოთახში თეორიულ კურსს გადიან, შესვენების შემდეგ კი პრაქტიკულად მუშაობენ საამქროში. თეორიული სწავლების ნაწილი შედგება საზეინკლო საქმისაგან, მანქანათა ნაწილებისა და ელექტროტექნიკის საფუძვლებისაგან.

თეორიულად გაცნობილ მასალას მოსწავლეები იქვე, საამქროში პრაქტიკულად ასრულებენ, რითაც უფრო ღრმად ითვისებენ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს. თეორიული კურსის პარალელურად მოსწავლეები ხაზვასაც ეუფლებიან. ღრმად ითვისებენ როგორც ხაზვის საერთო კურსს, ისე სპეციალურ ხაზვას. სპეციალური ხაზვის კურსს ესკიზების შედგენიდან იწყებენ და ამთავრებენ ორიგინალური კვანძების ნახაზით და მისი დეტალირებით. შემდეგ კი თავიანთი ნახაზების მიხედვით მექანიკურად ამუშავებენ კვანძის დეტალებს და აწყობენ მას.

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკას გადიან ქარხნის საიარაღო-სატვიფრო საამქროში. აქ მოსწავლეებთან პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებენ საამქროს მოწინავე ოსტატები და უბნის უფროსები ბ. ჩხენკელი, დ. ლომთათიძე, ა. ესებუა, ი. დვალიშვილი და დ. ტყეშელაშვილი.

მე-10 კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს, უკვე გავლილი აქვთ საწარმოო სწავლების სამი წლის კურსი. ამ დღეებში საავტომობილო ქარხანაში შედგა ქარხნის დირექციის მიერ გამოყოფილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მოსწავლეთა მომზადებას და მიანიჭა მათ მეოთხე თანრიგის ზეინკლის კვალიფიკაცია.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლებას დიდ დახმარებას უწევენ საავტომობილო ქარხნის დირექცია და პარტიული კომიტეტი. დირექციის დახმარებით საიარაღო-სატვიფრო საამქროში გამოიყო სასწავლო ოთახი საჭირო ინვენტარით. შერჩეულ იქნენ პრაქტიკული სწავლების მაღალკვალიფიკაციური ოსტატები და სწავლების საერთო ხელმძღვანელი, გამოიყო სწავლების დღეები.

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი განაზოგადებენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დარგში შეძენილ გამოცდილებას, ამთავითვე სახავენ ღონისძიებებს შრომითი სწავლების უკეთ მოწყობისათვის.

ნ. ალექსეევი,
ინჟინერი, ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ხელმძღვანელი.

ჩინეგულია, დაუვიწყარია,—

ამგზგენ ამერიკელი სტუდენტები

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარაში სამი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ამერიკელ სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციის „ეკსპერიმენტ ინტერნეიშნლ ლივინგის" წარმომადგელებისაგან.

ამ დღეებში გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" რედაქციაში გაიმართა აჭარაში მომუშავე პრესის მუშაკთა შეხვედრა ამერიკელ სტუდენტებთან.

შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა სტუდენტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა რენდოლფ მეიჯრმა, სტუდენტებმა სიუზანა ლეწლიმ, დუგლას ლენფორდმა და სხვებმა ილაპარაკეს იმ უაღრესად გულითად შეხვედრებზე, რაც მათ საქართველოში და კერძოდ აჭარაში ყოფნის დღეებში მოუწყეს, აღნიშნეს, რომ მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა სტუმართმოყვარეობამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებთან და საერთოდ საქართველოს ახალგაზრდებთან პირადმა შეხვედრებმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, წინანდლის საბჭოთა მეურნეობის, აჭარისა და ქალაქ ბათუმის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებამ.

— დაუვიწყარია, — აცხადებენ ისინი, — სანატორიუმ „აჭარაში" ქართველ სტუდენტებთან ერთად გატარებული დღეები და მთელი მომსახურე პერსონალის შესანიშნავი მოპყრობა, ქობულეთელ და მახარაძელ კოლმეურნეთა ოჯახებში სტუმრობა. რაც მთავარია, — ხაზს უსვამდნენ ისინი, — ჩვენ აქ პირადად გავეცანით საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას და საქმიანობას და გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა, ჩვენ ბევრად უკეთესი შთაბეჭდილება დაგვრჩა ვიდრე წარმოგვედგინა.

— მე თვითონ დავამთავრე ამერიკული საბალეტო სკოლა და ერთხანს ვასწავლიდი კიდეც, — თქვა სიუზანა ლეწლიმ, — მაგრამ ისეთი ლამაზი, ტემპერამენტული ცეკვები, როგორიც ქართველმა პიონერებმა გვიჩვენეს, არასოდეს არ მინახავს.

ახალგაზრდობა მხარს უჭერს

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის V ასამბლეის წერილები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი

პრაღა, 10 აგვისტო. (საკდესი).დღის სხდომის დასაწყისში თავმჯდომარემ მ. ვეცკერმა წინადადება შეიტანა გაეგზავნოთ იდენტური წერილები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს. წერილებში ნათქვამია:

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის V ასამბლეის მონაწილეები მხურვალედ მიესალმებიან მიღწეულ შეთანხმებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების ვიზიტების უახლოესი ურთიერთ გაცვლის შესახებ.

ჩვენმა ასამბლეამ, რომელზეც წარმოდგენილია 93 ქვეყნის 270 ახალგაზრდობის ორგანიზაცია, და რომელიც გამოხატავს აზრთა და საქმიანობის ფორმათა დიდ სხვადასხვაობას, თავისი დისკუსიის ყურადღების ცენტრში დააყენა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ახალგაზრდა თაობის პასუხისმგებლობის პრობლემები.

გამოვხატავთ რა ათეულ მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის ნებას, ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ „ცივი ომის" შეწყვეტას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რათა აღმოიფხვრას ომის ყოველგვარი საფრთხე, რომ დავადგეთ განიარაღების, ატომური და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის გზას, უზრუნველვყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა საერთაშორისო პრობლემა უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით და მშვიდობიანი საშუალებებით.

აი რატომ მივესალმებით ჩვენ იმის მსგავს შეხვედრებს, რომლებიც გაიმართება ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ აზრთა გაზიარების განვითარებას და ვფიქრობთ, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირი უნდა მოეწყოს რაც შეიძლება მალე უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის მიზნით.

ახალგაზრდობა გამოთქვამს რწმენას, რომ თქვენ ეცდებით გააკეთოთ ყველაფერი, რათა თქვენის მხრივ ხელი შეუწყოთ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს.

დელეგატები და სტუმრები იწონებენ წერილებს ხანგრძლივი ტაშით.

შემდეგ დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო მოხსენება „ეკონომიური, სოციალური და კულტურული პრობლემები, რომლებიც აინტერესებს ახალგაზრდობას ამჟამად", გააკეთა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კ. ეშარმა.



1959 წლის აგვისტოს პირველი კვირა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ადამიანები იმედს გამოთქვამენ, რომ ამ დღეებში დასაბამი მიეცა „ცივი ომიდან" მტკიცე მშვიდობისაკენ მკვეთრ მობრუნებას. სწორედ ასე აფასებენ ხალხები ცნობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების გაცვლის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც 7 აგვისტოს გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე კრემლში, ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი გამგზავრების შესახებ ამბობდა „...ამერიკაში ჩვენ გავემგზავრებით გულწრფელად და წმინდა გულით, ყველი განზრახვებით, გულწრფელი სურვილით ხელი შეეწყოთ „ცივი ომის" მდგომარეობის ლიკვიდაციას და უზრუნველვყოთ შესაძლებლობა შეეგუთანხმდეთ პრეზიდენტს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებასთან, ეხელმძღვანელობთ რა ზრუნვით მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის". დ. დ. ეიზენჰაუერმა პრეს-კონფერენციაზე თეთრ სახლში, დაახასიათა რა ნ. ს. ხრუშჩოვთან აზრთა მომავალი გაზიარების მნიშვნელობა, იმედი გამოთქვა, რომ ეს დახმარებას გაუწევს ყინულის გალობას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში.

თუმცა მეტად მცირე დრო გავიდა იმ მომენტიდან, როცა გამოცხადდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის და სსრ კავშირში ამერიკის პრეზიდენტის გამგზავრების შესახებ, გამოხმაურება ამ ამბავზე შეადგენდა უკვე ერთ ბიბლიოთეკას. დედამიწაზე არ არის არც ერთი გაზეთი, რომელსაც ეს ახალი ამბავი არ დაებეჭდოს პირველ გვერდზე და დღითიდღე არ უთმობდეს მას მთავარ ადგილს. არ არის რომელიმე ქვეყნის არც ერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც გულგრილი დარჩენილიყოს უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტაქტის პერსპექტივებისადმი და არ დაფიქრებულიყოს ამასთან დაკავშირებით საკუთარ მოქმედებაზე. და, რაც მთავარია, არ არის არც ერთი უბრალო ადამიანი დედამიწაზე, რომელსაც არ მოეწონებინოს ისტორიული ნაბიჯი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და „ცივი ომის" ლიკვიდაციისაკენ და ამასთან არ დაეკავშირებინოს თავისი საუკეთესო იმედი.

შეერთებულ შტატებში მომავალ ვიზიტებს იწონებენ როგორც მმართველი რესპუბლიკური პარტიის ლიდერები, ისე ოპოზიციური დემოკრატიული პარტიის ლიდერები. დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტით ჰეგერით, რომელიც ცნობილია თავისი ანტიკომუნიზმით, და დამთავრებული ჰარსტით ფერმერ აიოვის „სანიდნის" შტატიდან, რომელსაც თავი მოაბეზრა გამალებულმა ბრალდებებმა და რომელსაც გულწრფელად სურს მეგობრობა საბჭოთა ხალხთან.

ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დირექტორი დ. გალაპი, აზოგადებს რა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებულ განწყობილებას, ასეთი დასკვნას აკეთებს: „როცა საბჭოთა პრემიერ-მინისტრი ნიკიტა ს. ხრუშჩოვი ამერიკის მიწაზე შემოდგამს ფეხს, ეს იქნება ისეთი ამბავი, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ელოდა ამერიკის საზოგადოებრიობა".

ეს განცხადება უდრის იმის აღიარებას, რომ ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიოს ატყუებდნენ ამერიკელი ხალხის ნამდვილი მოსწრაფების შესახებ.

მომავალი ვიზიტების აქტიური მოწონება დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში როდია. ვერავინ ვერ შეიტანს ეჭვს, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხები გულწრფელად იწონებენ ვიზიტების გაცვლას ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის. ისინი საბჭოთა კავშირთან ერთად დაუცხრომელ ბრძოლას ეწევიან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის გამარჯვებისათვის, ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ასეთ პოზიციას ადგანან აგრეთვე აზიისა და აფრიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები. ისინი დიდი მოწონებით ეპყრობიან ყოველ ნაბიჯს, რომელიც გადადგმულია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის.

ღონისძიებებს საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესების სასარგებლოდ მიესალმებიან და იღებენ დასავლეთში ზოგიერთი მთავრობაც, აგრეთვე ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწეები. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ სსრ კავშირში ინგლისის მთავრობის მეთაურის ჰ. მაკმილანის მოგზაურობა. იმ კარგი ძვრების მიხედვით, რომლებიც ინგლისსაბჭოთა კავშირის ურთიერთობაში მოხდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხელმძღვანელთა შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ, განსაკუთრებით გასაგებია ინგლისის ოფიციალური და საზოგადოებრივი წრეების დადებითი რეაქცია ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის ვიზიტების გაცვლაზე. აბრი, რომ საჭიროა უარი თქვან „ძალის პოზიციის" პოლიტიკაზე და მტკიცედ დაადგნენ სსრ კავშირთან შეთანხმების გზას, ისე ღრმად შეიჭრა ინგლისელი ხალხის შეგნებაში, რომ მას ვერ უგულებელყოფს ინგლისის ვერც ერთი სერიოზული მოღვაწე, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს.

ასეთი საზოგადოებრივი განწყობილება მარტო ინგლისისათვის როდია დამახასიათებელი. დასავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობის, მათ შორის ნატოში შემავალ სახელმწიფოთა, აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნების, რომლებიც ჩართული არიან სეატოსა და ეგრეთწოდებულ ბაღდადის პაქტში, მმართველი წრეების წარმომადგენლებმა თავიანთი ხმა შეუერთეს მისალმებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების მომავალი ვიზიტებისადმი.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ზოგ ვინმეს მეჭში ქრა უკადია. ზოგი, მაგალითად, ნატოს გენერლები, დოუს, მაგრამ ეთუოდ ეკვე მოქმედებს ფარულად, რათა ხელი შეუშალოს საერთაშორისო დაძაბულობის გადაჭრით შენელებას, — ეს ხომ მათთვის სიკვდილს უდრის. სხვებს, პირველ რიგში „ცივი ომის" კანცლერ ადენაუერს, აშკარად შეაქვთ თავისი „განსაკუთრებული პანგი" და მზად არის იყვიროს „გვიშველეთო" ახალ ძვრასთან დაკავშირებით. გასაგებია, რომ ასეთი მოღვაწენი შეიცდებიან ნ. ს. ხრუშჩოვთან მომავალ შეხვედრამდე პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის გამგზავრება ევროპაში გამოიყენონ სრულიადაც არა ისეთი პრობლემების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობენ სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრას.

რა შეიძლება ამაზე ითქვას? მხოლოდ ის, რომ „ინეგვა", რომლის მიცემასაც ადენაუერი აპირებს ამერიკელი ხელმძღვანელებისათვის, გამოწვეული მისი ბებერული თავზანიობით, რაც ხელს უშლის მას საგნები დაინახოს ისე, როგორც ისინი არსებობენ.

მაგრამ როგორც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ადენაუერის ტიპის ადამიანები საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, მათი პოზიცია სულ უფრო მერყეევი ხდება. საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეებს ესმით, რომ შეთანხმება ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის ვიზიტების გაცვლის შესახებ შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა თავმჯდომარეობა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობით „მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის საპარგებლოდ, იბრძოდა და იბრძვის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ყველა სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, რომელიც ერთ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გამოაცხადეს და რომელსაც ადენაუერი აღიარებს, უსარსაბუქოვია და კოტიდრეა. ეს დადასტურა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირმაც, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობის მეორე სტადია.

თუმცა ამ თათბირზე მიღწეული არ არის კონკრეტული შეთანხმებანი, მაგრამ მან ბევრი რამ გააკეთა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ნაყოფიერი მოლაპარაკების მხრივ მობრუნებისა და საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესებისათვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შესაქმნელად.

დღევანდელი დღის მნიშვნელობა ის არის, რომ დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწეები (ისინიც კი, რომელთაც უარი არ უთქვამს ავისმდომლობაზე სოციალიზმის ქვეყნებისადმი) ფართოდ აღიარებენ მშვიდობიანი თანაარსებობის იდეებს კერძოდ, ისა, რომ საბჭოთა და ამერიკელმა ხალხებმა მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო დასკვნები, რომლებიც გაკეთებულია საბჭოთა კავშირში რ. ნიქსონის ყოფნის გამო: უკანასკნელ დროამდე იგი ცნობილი იყო როგორც ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე მომხრე „ცივი ომისა" და „ძალის პოზიციის" პოლიტიკისა; ახლა კი რ. ნიქსონი აცხადებს, რომ საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა კაპიტალისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის.

საბჭოთა კავშირი მზად არის ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში აღარ იქნას უნდობლობა და დაძაბულობა, რომ იგი გახდეს კარგი და მეგობრული. „უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ იმ შეთანხმებათა მიღწევისას, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა, არავინ არაფერს არ კარგავს: პირიქით, ყველა ხალხი ამით მხოლოდ იქნს, რადგან მტკიცდება მშვიდობის საქმე".

ხალხები იმედს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის უმაღლეს ხელმძღვანელთა შეხვედრები სამსახურს გაუწევენ ამ კეთილშობილურ მიზანს.

მ. მიხაილოვი.

კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

დუშეთი. ვალერიან ფეიქრიშვილმა სოფელ მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თვითმავალი კომბაინით მომკა 11 ჰექტარი ნაცვლად 8 ჰექტარისა. სულ მომკილი აქვს 122 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 11,5 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 10 ცენტნერისა. **ალექსანდრე ნათელაშვილმა** სოფელ კოდისწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 11 ჰექტარზე. სულ აღებული აქვს 120 ჰექტარი, ჰექტარზე გალეწა 12 ცენტნერი მარცვალი. **გარსევან სანაშვილი** მოსავალს იღებს სოფელ ჭოპორტის კოლმეურნეობაში. მან მომკა 110 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 11,8

ძლიერების, სიჯანსაღის ზეიმი

დედაქალაქის სპორტულ გაზეთზე

სეზონის საუკეთესო მატჩი

მოსკოვი, 11 აგვისტო. (ტელეფონით). დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მძაფრი ბრძოლები არ წყდება. განსაკუთრებით შეუპოვარი და მიმზიდველი იყო სპორტული თამაშების უკანასკნელი დღე ჯგუფებში. ამ დღეს დედაქალაქის სპორტის მოყვარულებს პირველ რიგში აინტერესებდათ ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონის ლატვიის კალათბურთელ ვაჟთა გუნდისა და საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივის ასპარეზობა. ამ შეჯიბრების შედეგს ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ მხოლოდ მოგების შემთხვევაში შეეძლოთ ფინალში გასვლა.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს ჩვეულებრივი ბრძოლა როდი იყო. მალე ინიციატივა ხელთ იგდეს საქართველოს კალათბურთელებმა და თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ. შემდეგ ეს უპირატესობა შენარჩუნებულ იქნა და პირველი ტაიმი დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდის სასარგებლოდ — 37:27.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ლატვიელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და შეჯიბრება ფრედ (64:64) დაამთავრეს. ამ წარმატებას მათ კრუმინშის აქტიური თამაშით მიაღწიეს. დაინიშნა დამატებითი 5 წუთი, კვლავ ფრე (72:72). მეორე დამატებითი ხუთი წუთი — კიდევ ფრე (80:80) და, ბოლოს, მესამე დამატებით 5 წუთში საქართველოს 4 კალათბურთელმა (მოსეშვილი, აბაშიძე, კაკაურიძე და ალტაბაევი) სძლია 5 მოწინააღმდეგეს და გაიმარჯვა ანგარიშით 88:86. ეს იყო მეტად ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება.

საქართველოს კალათბურთელებიდან გამოირჩეოდნენ მინაშვილი, ინწკირველი, ლეკავა, ალტაბაევი. კრუმინშის წინააღმდეგ ეფექტურად ითამაშა ლეკავამ.

ამრიგად, საქართველოს ვაჟთა გუნდი ფინალში დაუმარცხებლად გავიდა. დაუმარცხებლად გავიდნენ აგრეთვე რსფსრ და ლენინგრადის გუნდები. ფინალის დანარჩენ სამ მონაწილეს—მოსკოვის, აზერბაიჯანისა და ლატვიის გუნდებს თითო დამარცხება აქვთ.

ქალთა გუნდებს შორის ფინალში მოხვდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთისა და საქართველოს გუნდები. საქართველოს ქალთა გუნდი ფინალში ერთი წაგებით შეავიდა.

ნონა გაფრინდაშვილის წარმატება

ჭადრაკი წელს პირველად იქნა შეტანილი სპარტაკიადის პროგრამაში. ჩვენი გუნდი ძლიერ ჯგუფში მოხვდა. საქართველოს გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ქალთა რაოდენობით ჩვენმა მოჭადრაკეებმა გაუსწრეს ისეთ ძლიერ გუნდს, როგორიც არის ბელორუსიის მოჭადრაკეთა კოლექტივი, და ფინალში გავიდნენ. ამ საერთო გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის ოსტატ ნონა გაფრინდაშვილს, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო, 5 შესაძლებლიდან 5 ქულა მოაგროვა. ახალგაზრდა მოჭადრაკე იზვოზჩიკოვმა გუნდს 5 შესაძლებლიდან 4 ქულა მოუტანა, გურგენიძემ, რომელიც პირველ დაფაზე თამაშობდა, — 3,5 ქულა. ბუსლაევმა და ჩაიკოვსკაიამ სამ-სამი ქულა მოაგროვეს.

საქართველოს გუნდთან ერთად ფინალში მონაწილეობას მიიღებენ ლენინგრადის, რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, მოსკოვისა და ლატვიის გუნდები.

დაუმარცხებლად ფინალში

საქართველოს წყალბურთელთა თამაში აქ მოწონებას იმსახურებს. ჩვენს გუნდს ძლიერ მეკარესთან ერთად ჰყავს მეტად აგრესიული და შემტევი თავდამსხმელთა ბირთვი. ხოლო დაცვა თავის ფუნქციას შესანიშნავად ასრულებს. ჩვენმა წყალბურთელებმა თავიანთ ჯგუფში ყველა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და ფინალში დაუმარცხებლად შევიდნენ. ხვალიდან დაიწყება დასკვნითი ბრძოლები. საქართველოს გუნდთან ერთად ფინალში იქნებიან — მოსკოვის, რსფსრ, აზერბაიჯანის, უკრაინისა და ლენინგრადის გუნდები.

ფრენბურთი, კლასიკური ჰიდაობა, ჩოგბურთი

ჩვენი ფრენბურთელები, როგორც ქალები, ისე ვაჟები, ფინალში ვერ მოხვდნენ. ისინი ბრძოლას განაგრძობენ VII-XII ადგილებისათვის. ოქროს მედლებისათვის იბრძვიან მოსკოვის, ლატვიის, ლენინგრადის, რსფსრ, აზერბაიჯანისა და ესტონეთის ქალთა, აზერბაიჯანის, მოსკოვის, ლენინგრადის, ლატვიის, ესტონეთისა და უკრაინის ვაჟთა გუნდები.

ჩვენი კლასიკური მოჭიდავეების მაჩვენებლები კვლავ არასახარბიელია. ქორიძემ ერთი წაგებისა და ერთი გამარჯვების შემდეგ დღეს ფრედ დაამთავრა შეხვედრა მოსკოველ კოლუპოვთან. მსოფლიო ჩემპიონმა აბაშიძემ კიდევ ერთი დამარცხება განიცადა ამჯერად ლენინგრადელ კულაგინთან. მეოთხე წრეში საქართველოს მოჭიდაველებიდან დღეს გაიმარჯვეს გვანცელაძემ და ჩიტიაშვილმა.

ჩოგბურთელთა გუნდების დღევანდელ ასპარეზობათა შედეგი: ესტონეთი-საქართველო 8:3, აზერბაიჯანი-ბელორუსია 6:9, უზბეკეთი-ყაზახეთი 10:6.

მძლეოსნობა, წყალში ხტომა, კრივი

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მესამე დღეა მიმდინარეობს მძლეოსანთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. ჩემპიონი გახდა ტერ-ოვანესიანი. სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის ჩემპიონია ჩენჩიკი, 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის — ოზოლინი, ქალთა შორის — პოპოვა, 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის — იტკინა.

წყალში ხტომაში კარგი შედეგი აჩვენა ჩერნიშევმა. კრივში დღევანდელ შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან გაიმარჯვეს კოზაევმა და ჩატულიდმ.

გუნდური მაჩვენებლები

გუშინდელი და დღევანდელი ბრძოლების შემდეგ საერთო გუნდურ მაჩვენებლებში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. პირველ ადგილზეა მოსკოვი (269 ქულა,) მეორეზე — რსფსრ გუნდი (259 ქულა), მესამეზე — უკრაინა (255 ქულა), მეოთხეზე — ლენინგრადი (246,5), მეხუთეზე — საქართველო (215,5) და მეექვსეზე — ბელორუსია (179).

სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. გაგელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სპარტაკიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში **იგორ კაუკაროვი** (მოსკოვი) და მეორე ადგილზე გამოსული **რობერტ შავლაყაძე** (საქართველო) შეჯიბრების შემდეგ. ფოტო ა. პახომოვისა.



ვარძიას ვნახავთ

მათი ოცნება საქართველოს ნახვა იყო, და ამასაც მიაღწიეს ამ ცხელ ზაფხულში. დიდი ლენინის ქალაქიდან ჩამოვიდა ტურისტების ეს ჯგუფი. შორი მანძილის გამოვლის შემდეგ პირველად მოხვდნენ ბორჯომის ხეობაში. სანახავი აქ ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ მოასწრებდნენ ოცდღიანი ტურისტული მარშრუტით!

პირველი დღე თვითონ ბორჯომში, შესანიშნავ პლატოზე გაატარეს. დაკრიფეს მინდვრის ყვავილები, იბანავეს ბორჯომელაში, დაისვენეს საველე კარვებში. ცხელოდა, მაგრამ სიცხე მაინც არ უგრძვნიათ ფიქვნარში.

საღამომ მოაღწია. ერთი ჯგუფი მოლზე ჩამოსხდა და სახვალინო მარშრუტის მოხაზვას შეუდგა. მათთვის ეს მიდამოები უცნობი იყო და ინსტრუქტორს სთხოვეს ღირსშესანიშნავი ადგილების შერჩევა.

— ვარძია! — თქვა ინსტრუქტორმა.

— ჩინებულია, დიდებულია. მაშ ხვალ ვარძიას ვნახავთ, — თქვა ნელიმ და სახეგაბრწყინებით შეხედა თავის ახალ მეგობრებს, ამ მგზავრობაში რომ შეიძინა.

— წაღვერი, ცემი, ბაკურიანი, — ღიმილით დაუმატა ზოიამ, რომელსაც ეს აგარაკები მხოლოდ სახელით გაეგონა დღემდე, ისე კი მათი მშვენიერება ბორჯომში ნაყიდი ფოტოსურათებით ჰქონდა წარმოდგენილი.

შეთანხმდნენ. საბოლოოდ დააზუსტეს მარშრუტი. გათენდება დილა, და ლენინგრადელი ტურისტები ტყეში ჩაფლულ აგარაკებს ეწვევიან ბორჯომ-ბაკურიანის ბაზზე, მეორე დღეს კი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლს — ვარძიას ინახულებენ.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გაოცება და აღტაცება

დაიხურა საბჭოთა გამოფენა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. გუშინ ნიუ-იორკში 22 საათზე ადგილობრივი დროით (დილის 5 საათზე 11 აგვისტოს მოსკოვის დროით) დაიხურა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენა. ამერიკის საზოგადოებრივობის უდიდესი ინტერესი გამოფენისადმი არ შესუსტებულა მის დახურვამდე. ოფიციალური ცნობებით, 42 დღეში იგი დაათვალიერა 1.100 ათასზე მეტმა კაცმა ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი ქალაქიდან.

განსაკუთრებით დაძაბული იყო გამოფენის მუშაობის უკანასკნელი დღეები. ამ დღეებში კოლუმბის ოლეანზე, სადაც „კოლიზეუმის“ შენობაა, არაჩვეულებრივად მრავალი ხალხი იყო. ამერიკელთა გრძელი რიგები, რომლებიც აქ გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე შეიკრიბნენ, გარს ერტყმოდნენ „კოლიზეუმის“ მთელ შენობას და გამოდიოდნენ მეზობელ ქუჩებში. „კოლიზეუმის“ ახლომახლო ყველა ქუჩა და მოედანი გაჭედილი იყო ავტომანქანებით. გამოფენის ადმინისტრაციის გამოანგარიშებით, ამ დღეებში გამოფენის დარბაზებში გაიარა 60-70 ათასმა კაცმა. ხშირად რიგები არ წყდებოდა დღისითაც, როცა „კოლიზეუმის“ ადმინისტრაცია იძულებული იყო დროებით შეეწყვიტა დამთვალიერებელთა შესვლა, რადგან გამოფენის სადგომები ხალხით იყო გაჭედილი.

გამოფენის მუშაობის დღეებში ნიუ-იორკის ყველაზე დიდ მაყურებელთა დარბაზში „მედისონ-სკვერ გარდენში“ გაიმართა საბჭოთა ხელოვნების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსულმა გუნდმა, მოსკოვისა და ლენინგრადის სიმღერა-ცეკვის ანსამბლებმა, საბჭოთა კავშირის ბევრი რესპუბლიკის ხელოვნების წარმომადგენლებმა. ამავე დროს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ კინოთეატრ „მეოფფერში“ უჩვენებდნენ საბჭოთა პანორამულ ფილმებს „ვრცელია ქვეყანა ჩემი“ და „თილისმა სარკე“. საბჭოთა მსახიობების კონცერტები და პანორამული ფილმები მოისმინა და ნახა ათიათასობით ამერიკელმა.

საბჭოთა გამოფენის მუშაობის მთელ პერიოდში ამერიკელებმა მეტად ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისადმი. გამოფენის მუშაკებთან მრავალ საუბარსა და დისკუსიაში ისინი დაწვრილებით კითხულობდნენ, თუ როგორ შრომობენ, სწავლობენ, ისვენებენ საბჭოთა ადამიანები. პასუხები ამ კითხვებზე ხშირად იწვევდნენ გაოცებასა და აღტაცებას.

გუშინ „კოლიზეუმში“ გაიმართა საბჭოთა გამოფენის დირექტორ ა. ნ. მანჟულის დასკვნითი საუბარი კორესპონდენტებთან. თავის განცხადებაში ამერიკელი და უცხოელი კორესპონდენტებისადმი მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენების გაცვლამ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბევრად გააუმჯობესა „ორივე ქვეყანას შორის ურთიერთნდობის ატმოსფერო“. ამას მოწმობენ მრავალი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნებში და უბრალო ამერიკელთა წერილები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამერიკელ ხალხს, ისე როგორც საბჭოთა ხალხს, „სურს იცხოვროს მშვიდობით, ესწრაფვის ორივე ქვეყნის ურთიერთხელსაყრელ კეთილმეზობლურ თანამშრომლობას, რომელიც ხელსაყრელი იქნება არა მარტო მათთვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვის“. ნიუ-იორკში საბჭოთა გამოფენის ყველა თანამშრომელთა სახელით ა. ნ. მანჟულომ მადლობა გადაუხადა ამერიკელ მუშებსა და ინჟინრებს, რომლებიც დახმარებას უწევდნენ გამოფენის მონტაჟს, აგრეთვე „კოლიზეუმის“ ადმინისტრაციას. პრესკონფერენციის დასასრულს „კოლიზეუმის“ დირექტორმა ჰოვარდ ოგ. სლოანმა საბჭოთა გამოფენის დირექციას მიართვა სამახსოვრო სარეკორდო — დიდი ვერცხლის თასი წარწერით: „მეგობრობის თასი, საბჭოთა გამოფენის დირექციას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მშვენიერი წვლილისათვის მადლობის ნიშნად. 1959 წლის აგვისტო, ნიუ-იორკი, „კოლიზეუმი“.

ვ. კოლოკოლნიკოვი.

სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის წარმატება

ჟენევა, 10 აგვისტო. (საკდესი). ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს თათბირის მორიგ, 121-ე სხდომაზე, რომელიც სსრ კავშირის წარმომადგენელის ს. კ. ცარაპკინის თავჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა თათბირის განსახილველად შეტანილი დოკუმენტების განხილვა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი კონტროლის სისტემაში შეტანილ იქნას დიდ სიმაღლეზე ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის მეთოდები და აპარატურა, რომლებიც რეკომენდებულია დიდ სიმაღლეებზე ატომურ აფეთქებათა აღმოჩენი ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მოხსენებაში. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები მიესალმნენ ამ განცხადებას.

ახალგაზრდობა მშვიდობის სამსახურში

პრაღა, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს იულიუს ფუჩიკის სახელობის პარკში ყრილობათა სადღესასწაულოდ მორთულ შენობაში გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის V ასამბლეა, რომლის მუშობაც 16 აგვისტომდე გაგრძელდება. ასამბლეაზე შეიკრიბნენ დელეგატები და მეთვალყურეები—სულ 400-ზე მეტი კაცი, მათ შორის საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია. ისინი მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნის 85 მილიონი ქალიშვილისა და ჭაბუკის წარმომადგენელნი არიან.

ასამბლეა შესავალი სიტყვით გახსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ბ. ბერნინმ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ასამბლეამ უნდა განიხილოს ახალგაზრდობის შემდგომი ამოცანები მშვიდობისათვის ბრძოლაში. მისი წინადადებით ასამბლეის დელეგატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს გადაწყვეტილება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ.

ასამბლეის მონაწილეთ გულთბილად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარე მ. ვეცერი.

შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ბ. ბერნინს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის V ასამბლეის მოწვევას და შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული წრეები აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, რათა ახალი მსოფლიო ომი გაიაღონ. ამტომ, თქვა მან, ახალგაზრდობის ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლის აქტივიზაცია. შემთხვევითი როდია, რომ ასამბლეის პირველი საკითხია მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის შემდგომი ამოცანების განხილვა.

შეეხო რა ჟენევის თათბირს, ბ. ბერნინმ აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკების შედეგების საგებლიანობა, რადგან მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეიძლება მივაღწიოთ სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, აღმოვფხვრათ ომის საფრთხე და განვამტკიცოთ მშვიდობაო. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მსოფლიოს ახალგაზრდობა განსაკუთრებით მიესალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების მომავალ გაცვლას.

ბ. ბერნინმ შემდეგ აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობის წრეები ყოველგვარი შეთანხმების მთავარი მოწინააღმდეგენი არიან და რომ დასავლეთ გერმანიაში და განსაკუთრებით დასავლეთ ბერლინში ახლანდელ არანორმალურ მდგომარეობას შეიძლება სამხედრო კონფლიქტი მოჰყვესო და თქვა, რომ ამტომ მთავარი ამოცანაა გერმანიასთან სახვი ხელშეკრულების დადება.

შეეხო რა იმას, რომ მთელ მსოფლიოში გაძლიერდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, მომხსენებელმა დაგმო იმპერიალისტ კოლონიზატორთა ყოველგვარი ცდა ჩაახშონ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ბ. ბერნინი შემდეგ შეეხო მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას შორის, მსოფლიოს ახალგაზრდათა ორგანიზაციებს შორის კონტაქტის დამყარებისა და თანამშრომლობის განვითარების კონკრეტულ საკითხებს. მან შეიტანა წინადადება მოწვეულ იქნას მშვიდობის მსოფლიო კონფერენცია ყველა ქვეყნის სულ სხვადასხვა ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ბ. ბერნინმ დაგმო მთელი რიგი საერთაშორისო ახალგაზრდათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გამთიშველი საქმიანობა და გამოთქვა რწმენა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს ახალგაზრდობის მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეა.

პროგესტები დასავლეთ გერმანიის აგრომური შეიარაღების წინააღმდეგ

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნის საგენტო იუწყება, დორტმუნდში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია დორტმუნდ-ბრაკელის აეროდრომის ტერიტორიაზე ატომური იარაღის განლაგების წინააღმდეგ. დემონსტრაციის მონაწილეებმა გაიარეს შვიდი კილომეტრი დორტმუნდის ცენტრიდან დაბა ბრაკელამდე, თან მიჰქონდათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებიც მოუწოდებდნენ ატომური შეიარაღებისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად.



ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. **სურათზე:** სპილენძსადნობი კომბინატი ქალაქ პირდოპის ახლოს. ეს ხარჭარმო უშვებს ელექტროლიზურ სპილენძს, შაბიამანს, გოგირდმჟავას, იშვიათ ლითონებს.

ფოტო „ბულგარეთის ფოტოგრაფია“.

დემონსტრაციის დასასრულს გაიმართა მიტინგი, რომელზეც ორატორები მოუწოდებდნენ ატომური იარაღის აკრძალვისა და ევროპაში უატომო ზონის შექმნისათვის ბრძოლველად.

ჰანოვერთან ბუნდესვერის რაკეტული ბატალიონის განლაგების გეგმების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰილდესჰაიმის (ქვემო საქსონია) ადგილობრივი ორგანიზაციის წევრებმა. მათ ლანდტაგის დეპუტატს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან იანსენს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოსთხოვეს მტკიცე პროტესტი განუცხადოს ქვემო საქსონიის მთავრობას ჰანოვერის ახლოს რაკეტული ბატალიონის განლაგების გეგმებთან დაკავშირებით. წერილში ხაზგასმულია, რომ რაკეტული იარაღით ბუნდესვერის შეიარაღება დაბრკოლებას უქმნის გერმანიის გაერთიანებას.

აფრიკელი ხალხის ხმა

კაირო, 9 აგვისტო. (საკდესი). ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში მუშაობა დაამთავრა აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების კონფერენციამ. კონფერენციაში, რომელიც მიმდინარეობდა 4-დან 8 აგვისტომდე, მონაწილეობა მიიღეს აფრიკის 9 სახელმწიფოს: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ეთიოპიის, ლიბერიის, ლიბიის, მაროკოს, სუდანის, ტუნისის, განისა და გვინეის დელეგაციებმა. კონფერენციას ესწრებოდა აგრეთვე ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დელეგაცია.

აფრიკელ ხალხთა კონფერენციამ, რომელიც მიმდინარეობდა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დევიზით, განიხილა დღევანდელი აფრიკის საარსებო პრობლემები. ომი ალჟირში, საფრანგეთის განზრახვა მოაწყოს ატომგულის იარაღის გამოცდა საჰარაში, რასიზმი, დისკრიმინაცია და უუფლებობა აფრიკაში, კამერუნის დამოუკიდებლობის საკითხი, მდგომარეობა ნიასალენდში, ანგოლაში, უგანდაში და აფრიკის სხვა დამოკიდებულ ტერიტორიებზე იყო კონფერენციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. ყველა ამ საკითხზე კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუციები.

ცეილონის მასწავლებლებთან

ცეილონის მასწავლებლთა ეროვნული კავშირის მიწვევით მოსკოვიდან კოლომბოს გაფრინდა საბჭოთა კავშირის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ი. მაღლაფერიძე. (საქდესი).

ძვირფასი სტუმრები

დიდი გულთბილობითა და გულითადობით შეხვდა საქართველოს დედაქალაქი 9 აგვისტოს არგენტინის, მექსიკისა და პერუს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა კვინის VII მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებს.

ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე აეროდრომზე შეიკრიბნენ თბილისის ახალგაზრდობის მრავალი წარმომადგენელნი — მუშები, სტუდენტები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები. ხელში ბევრ მათგანს ფერად ყვავილთა თაიგულები აქვს.

მხურვალე ტაშით, მისალმების შეძახებით, სულითა და გულით წარმოთქმული სიტყვებით „მშვიდობა!“, „მეგობრობა!“ ხვდებიან შეკრებილნი ახალგაზრდა სტუმრებს. შემხვედრნი და სტუმრები მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს. გაისმის ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე, ჩამოსულები მადლობას იხდიან გულთბილობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ჩამოსვლის დღეს არგენტინის, მექსიკისა და პერუს ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თბილისი, მისი პარკები, ახალშენებანი. რამდენიმე საათი გაატარეს მათ ავლაბრის ყოფილ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში.

10 აგვისტოს დილით უცხოელი მეგობრები ავტომანქანებით გაემგზავრნენ რუსთავში. აქ მათ დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახელობის ამონიკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მთელი რიგი სამეწარეები. სტუმრები ესაუბრნენ ახალგაზრდა მუშებს, დაინტერესდნენ მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებით, საწარმოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობით. გულთბილი, დაუვიწყარი იყო დელეგატების შეხვედრა ახალგაზრდა მეტალურგებთან. გამოთხოვებისას სტუმრებმა თქვეს, რომ დიდხანს დარჩებათ მეხსიერებაში საქართველოს შესანიშნავ ქალაქ რუსთავში ყოფნა, რომელიც საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის განსახიერებაა.

საღამოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის მონაწილეები ესტუმრნენ საქართველოს ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტს. სტუმრებს გულთბილად, მეგობრულად მიესალმა ამ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. ვ. კიტია.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის ორგანიზაციების მუშაობაში, დიადი შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ესაუბრა სტუმრებს საქართველოს აღკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

უცხოთეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა დამსწრეებს გაუზიარეს ვენის ფესტივალზე ყოფნის შთაბეჭდილებანი, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ფესტივალმა ცხადყო ახალგაზრდობის განუხრელი მისწრაფება თავიანთი ხალხების მშვიდობისადმი, თავისუფლებისადმი, ეროვნული დამოუკიდებლობისადმი. სტუმრებმა აღნიშნეს თავიანთი სიხარული საბჭოთა კავშირში, მზიურ საქართველოში ჩამოსვლის გამო.

არგენტინის, მექსიკისა და პერუს დელეგატებს უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველო“ და თბილისის კინოსტუდიის სხვა სურათები. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა
აცხადებს მიღებას 1959-1960 სასწავლო წლისათვის

მანქანაზე წერისა და სტენოგრაფიის განყოფილებაზე.

სკოლაში მიიღებიან მდედრობითი სქესის მოქალაქენი. სკოლაში არის ორი სექტორი — ქართული და რუსული. ორივე განყოფილებაზე მიიღებიან ძირითადად საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

სკოლაში შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ მხოლოდ მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი).

მანქანაზე წერის განყოფილებაზე სწავლების ვადა ერთი წელია, სტენოგრაფიის განყოფილებაზე კი — სამი წელი.

სკოლა იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე.

განცხადებების მიღება 23 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 23 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

სკოლაში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სკოლის მისამართი: ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, ტელეფონი 3-39-40.

განცხადება მიიღება ყოველდღე დღის 2-დან საღამოს 7 საათამდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი

აცხადებს **კონკურსს** უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ სპეციალობებში:

1. **ელექტრომეტეორა — 1**
2. **სეისმოლოგია — 2.**

განცხადებები და საჭირო საბუთები ორ-ორ ცალად მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (თბილისი 15, ზოია რუხაძის ქ. № 1). კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

თეატრი და კინო

12 აგვისტო

ფილარმონიის სახელობის — ქართული სიმღერა-ცეკვის ანსამბლის კონცერტი (დასაწყისი საღამოს 9 საათზე).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ფილარმონიის** ბაღი, ისანი (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), ბლეხანოვის **სახელობის** კლუბი (საზამთრო), ჭავჭავაძის **სახელობის** კლუბი, **კომუნარების** ბაღი — ვნებათა ყურე, ისანი (საზაფხულო), **ორჯონიკიძის** სახელობის **კულტურისა** და **დასვენების** ცენტრალური **პარკი**—ჩვენი ღიღეების ამბავი, თბილისი—სასტუმროს შიკიკი, **26 კომისრის** სახელობის (მეორე დარბაზი)—მყუდრო ბინა, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ქალიშვილი შავებში, **საქართველო** (შუალე დარბაზი), **ოფიცერთა** სახლი, დიდუბე (საზამთრო) — ქარზე სწრაფი, **საქართველო** (საზაფხულო) — ორთა ბრძოლა, **კოლხიდა** (საზაფხულო), თანამგზავრი — თავი ბიჭი, **გორკის** სახელობის **კულტურის** სახლი (საზამთრო) — დიდი ქალაქის გარეუბანში, **გორკის** სახელობის **კულტურის** სახლი (საზაფხულო) — ხანა, **ძერჟინსკის** სახელობის (საზაფხულო) — შვილები წინ მიდიან, **ძერჟინსკის** სახელობის (საზამთრო)—ჩვენი შვილი ადოპტაცია, **კოლმეურნე** — ძეთო და კოტი, **დიდუბე** (საზაფხულო) — საათი შუადამისას გაჩერდა, **ყაზბეგი** — ნინო, ვაკის **პარკი** — გამოქცეულნი, **კიროვის** სახელობის **პარკი** — მექსიკის ცის ქვეშ, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის** სახლი — ჯულბარსი, **ტბილისის** სახელობის **კულტურისა** და **დასვენების** **პარკი,** **26 კომისრის** სახელობის **ახალი** (საზაფხულო) — უფსკრულის პირას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84